წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მამუკა მიქავა**
თანამდებობის დასახელება- **საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ის თავმჯდომარე**
ფრაქციის დასახელება-**ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"**
კომისი(ებ)ის დასახელება- **საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია.**
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -**მაჟორიტარული, წალენჯიხის 68.04 ოლქი.**
საანგარიშო პერიოდი 2022 წლის - **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ოქტომბრამდე.**
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ **რიგითი**

I.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა -23

საკრებულოს სხდომებზე დასწრება ___ 22

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 16

კომისიის სხდომებზე დასწრება _____12

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _ 8

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _____ 8

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ;
-გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;
-საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
-შპს „ენგურჰესთან" დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
-ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N 36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამის თაობაზე;
-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის

დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე;
-მერიის რეორგანიზაციის საკითხები;
- მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ყოველ კვარტალურად გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები;
-და სხვა საკითხები...

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დადებითად შეფასებას;

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _ 35 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა-375;

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები -მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, სასმელი წყლით მომარაგება, საგზაო ინფრასტრუქტურა , გარე განათება. ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში კანთისა და ლეხარჩილეს უბნებში სასმელი წყალის რეაბილიტაცია, საბელქანიოსა და ლესალეს უბნებში გზის რეაბილიტაცია.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ყველა პრობლემური საკითხი დაყენებულ იქნა მერიის შესაბამის სამსახურებთან, შესაბამისად, რეაბილიტირებულ იქნა საცალფეხო ხიდი, დახმარება გაეწია სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, ნაწილობრივ მოგვარდა სასმელი წყლის და გზის პრობლემები.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე“, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქციის 8 სხდომა. ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები. დასახული იქნა მათი გადაწყვეტის გზები.

შევსების თარიღი _ 28/10/2022წ.

წარდგენის თარიღი _ 28/10/2022წ.

ხელმოწერა